პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 4 (3488) 7 1968 წ. იანვარი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.



გუშინ...

მოსწავლეთა ზონალურ შეჯიბრებებზე

პრიზიორს რაღას ერჩოდნენ?!

თბილისის „დინამოს" კორტებზე დაიწყო მოზარდ ჩოგბურთელთა საკავშირო ზონალური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის, ბათუმის, ერევნისა და ბაქოს გუნდები. ზონალური ტურნირები ტარდება აგრეთვე მოსკოვში, ლენინგრადში, კალინინგრადში, რიგაში, დნეპროძერჟინსკში, სოჭში და ალმა-ათაში. ზონებში გამარჯვებულები შექმნიან ფინალურ ჯგუფს, რომლის ასპარეზობაც მარტის არდადეგების დღეებში გაიმართება მოსკოვში.

ზონალურ თამაშებში მონაწილეობს საქართველოს კიდევ ერთი გუნდი — სოხუმის ნაკრები, რომელიც სოჭში ასპარეზობს. საკვირველია, რატომ ვერ ვხედავთ ზონალურ თამაშებში მოსწავლეთა შარშანდელი რესპუბლიკური სპარტაკიადის მეორე პრიზიორს — ქუთაისის გუნდს? ვისი ბრალია ეს — საკავშირო თუ რესპუბლიკური ფედერაციისა?

ახლა თბილისში დაწყებული შეჯიბრების შესახებ. კორტებზე გასვლამდე ჩოგბურთელებმა საერთო ფიზმომზადებაში ჩააბარეს ნორმატივები. მართალია, თბილისელებმა ყველას აჯობეს, მაგრამ მათი ფიზიკური მომზადება არც ისე მაღალია. ამას ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება, თორემ მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი მოთამაშე ფინალურ ტურნირში არც კი დაუშვან. რაც შეეხება ბათუმის გუნდს, 8 მონაწილიდან მხოლოდ ოთხმა შეძლო ფიზმომზადებაში გამოცდის ჩაბარება.

ბათუმელები ტექნიკურ მომზადებაშიც მოიკოჭლებენ: თბილისელებთან მათ ყველა შეხვედრა წააგეს (0:8), თანაც, 8 შეხვედრაში მხოლოდ 15 გეიმის მოგება შეძლეს. აი, თბილისის და ბათუმის გუნდების წევრთა შეხვედრების შედეგები: ჭაბუკები. ვ. აბაშკინი — ვ. კარაბაშიანი 6:0, 6:0, ი. იმნაძე — გ. აბგარიანი 6:1, 6:0, ვ. ერანოსიანი — ა. ქოროღლიანი 6:1, 6:1, ზ. ბოკერია — ა. მოსეშვილი 6:0, 6:2; გოგონები. ო. პაპაიანი — ს. ვაიზინიანი 6:0, 6:0, ე. ბატაიანი — ლ. ვართანიანი 6:3, 6:2, ნ. ჩხაიძე — ა. სუხენკო 6:2, 6:3, ნ. მირიმანოვა — ა. მაჩხალიანი 6:0, 6:0.

ბაქოელებმა დაამარცხეს ერევნელები — 7:3.

სუსტად, ძალიან სუსტად...

მოზარდ მაგიდის ჩოგბურთელთა საკავშირო შეჯიბრებები მხოლოდ ოთხ ზონად ტარდება (თბილისი, პანევეჟისი, გორკი და აშხაბადი). ფინალის საგზურის მიღება შეუძლიათ გუნდურში I-II, ხოლო პირადში I-IV ადგილებზე გასულთ. ფინალს მაგიდის ჩოგბურთელებიც მარტში გაითამაშებენ. მხოლოდ მისამართი სხვაა: კაუნასი.

ლენინის სახელობის დარბაზში პირველ დღეს გამართულმა შეხვედრებმა საქართველოს გუნდებს წაგების მეტი არა მოუტანა რა. გოგონებიცა (7:10) და ჭაბუკებიც (3:14) დამარცხდნენ მოლდაველთა გუნდებთან.

კარგად გამოვიდა სომხეთის ორივე გუნდი. გოგონებმაც (12:5) და ჭაბუკებმაც (18:4) „იმსხვერპლეს" აზერბაიჯანის კოლექტივები.

ჯ. ენდელაძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრების მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მეგობართა ტრადიციული...

რუსთავისა და ჭიათურის მოჭიდავეთა სპორტულ პაექრობას კარგა ხნის ისტორია აქვს. ქართული ფოლადის ქალაქის ათლეტები ჭიათურელებს პირველად 1962 წელს შეხვდნენ და მას შემდეგ ეს მეგობრული შეჯიბრებები შესანიშნავ ტრადიციად იქცა.

ახალი წლის წინ კლასიკური სტილის რუსთაველი მოჭიდავეები ჭიათურას ეწვივნენ. შეხვედრა ქალაქის ახლახან აგებული კულტურის სახლის სარბიელზე გაიმართა და მაყურებელთა უაღრესად დიდი ინტერესი გამოიწვია. სპორტის მოყვარულები არც შემცდარან: ჭიდილი მეტად წარმტაცი და დაძაბული იყო. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5,5:3,5.

თ. შეყილაძე.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

თავიდანვე სენსაცია

ხარკოვსა და ლენინგრადში გუშინწინ დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი ფრენბურთელ ქალთა „ა" კლასის გუნდებისთვის. ხარკოვის „ლოკომოტივის" სპორტდარბაზში პირველად გამოვიდნენ ცსკა და კიევის „ბურევესტნიკი". ორსაათიანი მწვავე ბრძოლა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 3:2 (15:7, 13:15, 15:7, 13:15, 15:4). ამავე ქვეჯგუფში გამოდიან მოსკოვის „ლოკომოტივი", რიგის „დაუგავა", ირკუტსკისა და ხარკოვის სპარტაკელები.

ლენინგრადში სენსაციური შედეგით აღინიშნა შარშანდელი გათამაშების ვერცხლის პრიზიორის — ბაქოს „ნეფტიანიკისა" და ადგილობრივი „ბურევესტნიკის" შეხვედრა: მასპინძლებმა „მშრალი" ანგარიშით სძლიეს ბაქოელებს — 3:0 (15:6, 15:6, 15:8). ლენინგრადის ქვეჯგუფში თამაშობენ, აგრეთვე, ოდესის „ბურევესტნიკი", მოსკოვის „დინამო", ლენინგრადისა და მინსკის სპარტაკელები.

დამატებითი ცნობები

ლენინგრადი, 6 იანვარი. გუშინ გვიან საღამოს დამთავრებულმა მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „ბურევესტნიკი" (ოდესა)— „სპარტაკი" (ლენინგრადი) 3:1 (15:3, 14:16, 15:13, 15:10), „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მინსკი) 3:2 (10:15, 15:7, 13:15, 15:8, 15:7).

ხარკოვი, 6 იანვარი. რიგის „დაუგავამ" წააგო ადგილობრივ სპარტაკელებთან — 0:3 (13:15, 0:15, 14:16). მოსკოვის „ლოკომოტივმა" დაამარცხა ირკუტსკის „სპარტაკი" — 3:1 (15:7, 6:15, 15:10, 15:9).

ფრენბურთი

კარგი სტარტი

კალუგა, 6 იანვარი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო სსრ კავშირის მოსწავლეთა საჭადრაკო ჩემპიონატები. 2 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ჩვენი მოჭადრაკეები: ჭაბუკებში — ოსტატობის კანდიდატი ს. ჩეჩელიანი (2 ქულა), გოგონებში — ნ. ბალაშვილი (1,5).

ჭადრაკი

ახალი ამბები

● **ვოსკრესენსკი, 6 იანვარი.** ფიგურული ციგურაობის ოსტატთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში გუშინ გამოვლინდნენ უძლიერესნი სპორტულ ცეკვებში. ოქროს მედლები ზედიზედ მეორედ მოიპოვეს მოსკოველებმა ი. გრიშკოვამ და ვ. რიჟკინმა (და არა ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა, როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით. პახომოვა და გორშკოვი წინ იყვნენ სავალდებულო პროგრამის შემდეგ). მათ ცოტათი ჩამორჩნენ პახომოვა და გორშკოვი. ბრინჯაოს მედლები პირველად მოიხვეჭეს ახალგაზრდა მოსკოველებმა ტ. ვოიტიუკმა და ვ. ჟიგალინმა.

საათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ **ბონი, 6 იანვარი.** სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა გუნდმა პოლონელებთან მატჩში გამარჯვების შემდეგ დაამარცხა ფინეთის ნაკრები (30:10) და მეოთხედფინალის საგზური გაინაღდა. I ჯგუფში, სადაც სსრ კავშირის წარმომადგენლები არიან, ასევე 2 მოგება აქვთ ჩეხოსლოვაკიელებს. ეს ორი გუნდი, მიუხედავად ერთმანეთში დარჩენილი თამაშისა, განაგრძობს მედლებისთვის ბრძოლას. მეოთხედფინალში გავიდნენ, აგრეთვე, გფრ-ის, საფრანგეთის, შვეციისა და რუმინეთის გუნდები.

◆ **ობერშაუფენი, 6 იანვარი.** ეს იყო სამთომოთხილამურე ქალთა პირველი დიდი საერთაშორისო შეჯიბრება სეზონში, თანაც იგი „მსოფლიო თასის" ჩათვლაში შედიოდა. გიგანტური სლალომი! მოხდა იშვიათი შემთხვევა: 22 წლის ფერნანდა ბოშატეიმ (შვეიცარია) პირველმა აიღო სტარტი და მისი შედეგი შემდგომ ვერავინ გააუმჯობესა, თუმცა აქ იყო მსოფლიოს ყველა ვარსკვლავი. ბოშატეიმ 1300-მეტრიანი ტრასა (სიმაღლეთა სხვაობა — 380 მ, 54 კარი) 1 წუთსა და 28,33 წამში დაფარა. სერიოზული მარცხი იწვნიეს ფრანგებმა (მწვრთნელმა ჟ. ბერანჟემ თავისი გუნდი წარმოადგინა, როგორც „ყველაზე ძლიერი სამთოსათხილამურო სპორტის მთელ ისტორიაში"). მსოფლიოს ჩემპიონი მარიელ გოიჩელი დაეცა და ბრძოლას გამოეთიშა, ხოლო მისმა დამ — კრისტინამ მხოლოდ XI ადგილი დაიკავა.

◆ **ვინიპეგი, 6 იანვარი.** სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში დამაჯერებელი გამარჯვებების შემდეგ წაიფორხილა — წააგო თამაში შვეციელებთან — 4:6. დასკვნითი მატჩის წინ კანადელ და საბჭოთა სპორტსმენებს 4-4 ქულა აქვთ. მათ შორის ბოლო მატჩში საბჭოთა ჰოკეისტებს ფრეც აძლევთ ხელს, ვინაიდან ბურთების უკეთესი შეფარდება აქვთ.

◆ **ჰასტინგსი, 6 იანვარი.** მოჭადრაკეთა ტრადიციული ტურნირის დამთავრებამ მოულოდნელი შედეგი მოგვცა. I ადგილი ერთბაშად ოთხმა მოჭადრაკემ გაიყო: ლ. შტეინმა (ყაიმი ინგლისელ ა. უაიტლისთან), ა. სუეტინმა (ყაიმი რუმინელ ფ. გეორგიუსთან) და ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) ინგლისელ უ. ჰარსტონის დამარცხებით 6-6 ქულა მოაგროვეს. ამდენივე აღმოაჩნდა გეორგიუს.

◆ **გრონინგენი, 6 იანვარი.** ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირში 5 ტურის შემდეგ 4,5 ქულით დაწინაურდა 16 წლის ტულელი ა. კარპოვი. II ადგილზეა უნგრელი ი. იახა — 3,5 ქულა.

◆ **პარიზი, 6 იანვარი.** 1967 წლის ყველა შეჯიბრების შედეგად რკინიგზელ სპორტსმენთა საერთაშორისო კავშირმა, რომელიც 27 სახელმწიფოს აერთიანებს, I ადგილი საბჭოთა სპორტსმენებს მიაკუთვნა (60 ქულა). II ადგილი ვაჟთა შეჯიბრებების შედეგად მიეკუთვნათ პოლონელებს (53 ქულა), ხოლო III — ჩეხოსლოვაკიელებს (50 ქულა).



ბუდაპეშტი. უნგრელმა სპორტსმენმა დიერდ შირილამ, რომელმაც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ზემარათონული დისტანცია (2.215 კმ) გაირბინა ბუდაპეშტიდან მოსკოვამდე, დაიწყო დუნაიზე ზამთრის გაცურვისთვის მზადება. ამ გაცურვას იგი 12 იანვარს აპირებს.

ს უ რ ა თ ზ ე: შირილა საუცხოოდ გრძნობს თავს დუნაის წყალში, რომლის ტემპერატურა ახლა 5-6 გრადუსია.

ფოტო მტი-საკდუსისა.

თუთუ-ბაში

ასმათ დავითიშვილი

ნაწყვეტი წიგნიდან

სწორედ იმ ზაფხულს მიხეილი სტალინის პიკის დასალაშქრავად მიდიოდა. გამოთხოვების წინ დამიბარა, კედელი შენხეა, თვალ-ყური ადევნე და კარგად შეისწავლეო. საერთოდ, მთამსვლელმა კედელი ისე უნდა შეისწავლოს, რომ მასზე, როგორც წიგნის ფურცლებზე, ყველაფრის კითხვა შეეძლოს. ის მთამსვლელი არ არის, ვინც კედლის სიღამაზეს ვერ არჩევს და კედლების ნიშნები არ იცის. მე უნდა შემესწავლა, როდის იყო ქვათა ცვენა, რომელ საათებში უკეთ იყო განათებული კედელი, შეძლებისდაგვარად გამერჩია მისი ზედაპირის თავისებურებანი.

ჯგუფის მესამე მონაწილედ დნეპროპეტროვსკელი საშა სინკოვსკი შევარჩიეთ, მეოთხედ—ყაბარდოელი იური ზანილოვი, პროფესიით მეშახტე, ძლიერი, ამტანი მთამსვლელი.

1955 წელს იუგოსლავიაში ევროპის ალპინისტთა ყრილობა ჩატარდა. ამ ყრილობაზე მეტალურგთა საზოგადოებამ სინკოვსკი გაგზავნა. ზანილოვი სამსახურში გაიძახეს, მიხეილი სტალინის პიკის დასალაშქრავად იყო წასული. ასე რომ, კედელი ისევ მე უნდა შემესწავლა.

მოგვიანებით მიშას წერილი მივიღე. უკვე ვიცოდი, რომ სტალინის პიკის დალაშქრა წარმატებით დამთავრდა. წერილი სვანეთიდან იყო. მოკითხვას მითვლიდა და თუთუ-ბაშს მაგონებდა. იწერებოდა, მალე ჩამოვალო.

რამდენიმე დღის შემდეგ სხვებთან ერთად სანადირო წვედი. რასაკვირველია, კედლის ძირში გავედით. აქ თითქმის ორი კვირა დავრჩი. ვიზუალური და ტელედაზვერვის შედეგად დაახლოებითი მარშრუტი შევადგინე. შემდეგ კედლის ფოტო გადვიღე. თუთუ-ბაშის კედელი ძირითადად ბლოკებისგან შედგებოდა. ბლოკების ზომა უმეტესად ოთხ კვადრატულ მეტრს უდრიდა. ამას გარდა, გვხვდებოდა კრამიტოვანი შემადგენლობაც. ვარაუდით, ბლოკებს შორის ბზარები უნდა ყოფილიყო. ისე კი ბლოკები გლუვი იყო, ყოველგვარ შვრილებსა და ბზარებს მოკლებული. ეს უთუოდ გააძნელებდა ასვლას.

რომ დავბრუნდი, განაცხადი გავგზავნე მოსკოვში.

გაზაფხულზე ერთხელ კიდევ გავედი კედლის ძირში და თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ვსწავლობდი მის ჩვევებს. ახლა განათება უკეთესი იყო. დაკვირვებამ კარგი შედეგი მომცა. უკან დაბრუნებისას მიშა დამხვდა. მარტოს გადმოელახა გარვაშის უღელტეხილი, უამინდობას გაეწყვალებინა და საშინლად იყო დაღლილი. რასაკვირველია, პირველი მოკითხვისა და სიხარულის შემდეგ კედელზე დავიწყეთ ლაპარაკი. ჩემი აზრი გავუზიარე. მიშაც ფიქრობდა, რომ სიძნელე გველოდა, მაგრამ დამეთანხმა, რომ ასვლა უთუოდ კარგად დამთავრდებოდა.

შემდეგ სინკოვსკი მოვიდა, ბოლოს—ზანილოვი.

საზოგადოება „მეტალურგისთვის“ ეს პირველი ასვლა იყო საკავშირო პირველობაზე და ამიტომ თანხებს არ ზოგავდა.

გაძლიერებული ვარჯიში დავიწყეთ. ასვლის ხელმძღვანელად მიშა იყო დანიშნული და, როგორც ყოველთვის, დაუზოგავად გვავარჯიშებდა. განსაკუთრებულ ყურადღებას მაჯისა და თითების განვითარებას ვაქცევდით, რადგან კედლოვანი ასვლის დროს ხელებს, ისევე, როგორც ფეხებს, დიდი დატვირთვა აწვებათ.

საშამ იუგოსლავიიდან სიახლე—კიბეები ჩამოიტანა. თუთუ-ბაშის საშუალო დახრილობა 80 გრადუსს შეადგენს, ზოგჯერ კი უარყოფით დახრილობაშიც გადადის. ამიტომ ჩვენთვის ამ სიახლეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ვარჯიშის დაგვირგვინება იყო ბუროვსკის პიკის დალაშქვრა ჩიდელო-დასავლეთის კედელზე ასვლით. ამ კედლის დაპყრობას აბალაკოვი, ჯგუფმა ოთხი დღე მოანდომა. ჩვენ იგი ისე გავიარეთ, რომ ...

შემდეგ ...

...ორგანიზებული— ... დაკავებული: პროდუქტებს ვირჩევდით, საკურველს ვამუშავებდით, გეგმას ვაშალაშინებდით.

გასვლის წინ ბევრი გვირჩევდა: ვიდრე გვიანი არ არის, ხელი აიღეთ ამ სახიფათო გადაწყვეტილებაზეო. გვახსენებდნენ მთამსვლელებში გავრცელებულ აზრს — ვინც თუთუ-ბაშზე მიდის, წინასწარ კუბო უნდა შეუკვეთოსო. გვარწმუნებდნენ, თანამედროვე ტექნიკის პირობებში ჯერ კიდევ ადრეა ასეთ კედლოვან ასვლაზე ფიქრიც კი. მაგრამ არის ადამიანის ცხოვრებაში მომენტი, როცა მისი შეჩერება არავითარ გონივრულ მსჯელობას არ შეუძლია. მე, მაგალითად, კედელი რომ ჩამონგრეულიყო, ზურგს მივუშვერდი დასამგრებლად. მჯეროდა, რომ დანარჩენებიც ამ აზრისა იყვნენ. ჯგუფი ერთი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. მაშინ მთამსვლელობის დიდი გამოცდილებით ვერ დავიკვეხნიდი, მაგრამ ერთი კი იყო ჩემთვის ნათელი: თვით უმნიშვნელო ასვლის დროსაც ჯგუფის მონოლითურობაა მთავარი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 3.

ასე დაიწყო...

მსოფლიოს მოშაშეთა ყურადღების ცენტრში თბილისი მოექცა. ინტერესი კუპერმან—ანდრეიკოს მატჩისადმი უსაზღვროა. ძაგალითად, ჰაგიდან იტყობინებიან, რომ ჰოლანდიის ყველა გაზეთი ფართოდ აშუქებს მატჩის მსვლელობას, სისტემატურად აქვეყნებს პარტიებს...

კუპერმან—ანდრეიკოს მატჩი თავისებურად საიუბილეოა: 10 წლის წინათ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინმა ბინა სსრ კავშირში დაიდო და დღესაც აამაყებს ჩვენს მოშაშეებს.

ყოველივე ეს დაიწყო 1953 წელს, როცა ჩვენში პირველად ჩატარდა შეჯიბრებები საერთაშორისო შაში. ეს იყო სავარჯიშო ტურნირი ხარკოვში (I. ზ. ციბიკი, II. ი. კუპერმანი) და რსფსრ-ს I ჩემპიონატი (I. ნ. სტეტინსკი, II-III. ე. პოგერანეცი, ვ. გოროდეცკი). ერთი წლის შემდეგ კი გაიმართა სსრ კავშირის I ჩემპიონატი (I. ი. კუპერმანი). ამას მოჰყვა ბევრი საინტერესო ტურნირი თუ მატჩი...

მაგონდება 1956 წელი. მოსკოვი. სასტუმრო „მეტროპოლი“. აქ პირველად ჩვენში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი. მის მონაწილეთა შორის იყო მსოფლიოს აწ განსვენებული ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი ბ. შპრინგერი. ყველანი ფართოდ გახელილი თვალებით შეკუურებდით მას — შაშის ცოცხალ დიდოსტატს. რა დრო იყო!..

და აი, შპრინგერმა დაამთავრა პარტია. ყველა მისი მაგიდისკენ მიიჩქარის. დიდოსტატი რაღაცას მოგვითხრობს, თავის საუკეთესო პარტიებს გვიჩვენებს...

ერთი მათგანი დღესაც მახსოვს. აი, იგი. თეთრებით შპრინგერი თამაშობს.

1. 31 — 27 17 — 21 2. 37 — 31 21—26 3. 32—28 26:37 4. 41:32 12—17 5. 46—41 17—21 6. 41—37 21—26 7. 34—30 19—23 8. 28:19 14:23 9. 33—28 9—14 10. 28:19 14:23 11. 39—33 10—14 12. 44—39 14—19 13. 33—28 20—24 14. 40—34 5—10 15. 30—25 10—14. 16. 34—30 7—12 17. 39—33 12—17 18. 50—44 17—21 19. 43—39 1—7 20. 37—31 26:37 21. 42:31 21—26 22. 48—42 26:48 23. 44—40 48:34 24. 40:9 3:14 25. 30—34 19:30 26. 28:10 4—9 27. 35:24 15:4 28. 27—22 18:27 29. 32:21 16:27 30. 38—32 27:20 31. 25:1 2—7 32. 1:9 4:13 33. 36—31. დასკვნითი ზუსტი სვლა. მხოლო იგი იგებს!

გაარჩიეთ ეს პარტია და, მერწმუნეთ, დიდ ესთეტიურ კმაყოფილებას მოგვგრით იგი.

ვინ იცის, იქნებ თქვენც შეიყვაროთ ეს ბრძნული თამაში.

ვ. გოროდეცკი,
დიდოსტატი.

პირველი ნაბიჯები. ფოტო მ. ზარგარიანისა.

ა. ანდრეიკო.
მეგობრული შარკი რ. ჯაშისა.

ჯუჯინ...

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში კვლავ ყაიმით დამთავრდა კუპერმან — ანდრეიკოს მატჩის V პარტია. ამრიგად, ანგარიში გახდა 2,5:2,5. დღეს, VI პარტიაში თეთრებით თამაშობს ანდრეიკო.

საინტერესოა ვიცოდეთ...

● ახუჯრიანი შაში გამოჩნდა XVIII საუკუნეში. მაშინ მას „პოლონურ თამაშს“ უწოდებდნენ, ხოლო 1947 წლიდან საერთაშორისო შაში ჰქვია.

● 1947 წელს დაარსდა შაშის საერთაშორისო ფედერაცია — ფმედ. ამჟამად ფედერაციაში შედის 17 ქვეყანა — სსრ კავშირი, ჰოლანდია, საფრანგეთი, ბელგია, ჩეხოსლოვაკია, იტალია, კანადა, შვეიცარია, სენეგალი, მაროკო და სხვ.

● მოშაშეთა საერთაშორისო უფედერაციის უცვლელი პრეზიდენტია ი. ვიერმსი (ჰოლანდია), ხოლო გენერალური მდივანი — ჰ. ლიუკო (საფრანგეთი).

ფედერაციის პლენუმზე

გაიმართა თბილისის მძლეოსნობის ფედერაციის პლენუმი, რომელმაც მოისმინა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილის შ. ტუღუშის, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჰ. ათაბეგოვისა და მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ნედაშკოვსკის საანგარიშო მოხსენებანი. მათ ილაპარაკეს თბილისელი მძლეოსნების მიერ ბოლო წლებში მოპოვებულ წარმატებებზე, სპორტის ამ სახეობის განვითარების ხელშემშლელ პირობებზე.

კამათში მონაწილეობდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ე. გოკიელი, ნ. დუმბაძე, ბ. დიაჩკოვი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები დ. მიქაბერიძე, კ. მალიშკოვი, ბ. შმაკოვი და სხვ.

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა თბილისის სპორტკავშირის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. რცხილაძე. შემდეგ ჩატარდა არჩევნები.

ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. დუმბაძე, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ— ჰ. ათაბეგოვი, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — ე. გაგუა.

ვ. იაშვილი.

ფილატელისტთა სასიხარულოდ

საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობაზე ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩის დაწყებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა 1 კაპიკის ღირებულების საგანგებო საფოსტო ნიშანი.

ეს პირველი შემთხვევაა შაშის ისტორიაში, როცა ამ სახეობას ეძღვნება საფოსტო ნიშანი. აი, ეს მარკაც:

ჯილდოები ღირსეულთ

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, სპორტულ ნაგებობათა სანიშაშო მდგომარეობისთვის და საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკური და საქალაქო სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების კარგი მომსახურებისთვის სიგელებით დაჯილდოდა შემდეგი კოლექტივები: თბილისის სპორტის სასახლე; თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველო; თბილისის სპორტკომბინატი „დინამო“; საქართველოს სპორტკავშირის დახურული საცურაო აუზი; ლესელიძის პანსიონატი „სპორტი“.

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა მაღალი კვალიფიკაციის სტუდენტ-სპორტსმენთა მომზადებისა და სპორტის ფართო პროპაგანდისთვის საპატიო სიგელებიც დაჯილდოვა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი გ. ხარაული და ამავე ინსტიტუტის ფიზიკურზრდისა და სპორტის კათედრის გამგე გ. ხაჩიძე.

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისთვის სიგელით დაჯილდოვა აფხაზეთის ასსრ სპორტკავშირის თავმჯდომარე ჯ. გუბაზი.

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის მადალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადებისთვის სიგელებით დაჯილდოვა: ტ. მეხი, კ. შეურილაძე, ვ. ილურიძე (სამივე— თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკურზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი), გ. როსტიაშვილი (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკურზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი).

...ამ დღეებში ...

სოხუმი

„კოლმეურნის“ აფხაზეთის საბჭომ ჩატარა საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი 80-საათიანი სემინარები, რომელთაც ესწრებოდნენ გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირისა და სხვა რაიონების წარმომადგენლები.

ნ. ბედია.

საბჭოთა მოცურავეები მეხიკოს წინ

ბამ წელზე მეტი გავიდა იმ დღიდან, როცა 15 წლის სევასტოპოლელმა მოსწავლემ გალია პროზუმენშჩიკოვამ ტოკიოს ოლიმპიურ აუზში ოქროს მედალი მოიხვეჭა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. მისი გამარჯვება ჯერჯერობით ყველაზე ნათელი ფურცელია საბჭოთა ცურვის ისტორიაში. შეიძლება ეს სიტყვები ვინმეს ძალიან კატეგორიულადაც მოეჩვენოს. ნუთუ ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვთქვათ, იმავე პროზუმენშჩიკოვას შარშანდელი წარმატება ევროპის ჩემპიონატში, სადაც მან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა? დიახ, ეს ბრწყინვალე გამარჯვება იყო, მაგრამ... ევროპის ჩემპიონებს ჩვენ წინათაც შევხვედრივართ ზეიმით. შევხვედრივართ მსოფლიო რეკორდსმენებსაც, 1964 წლის ოქტომბრის იმ ღირსსახსოვარ დღეს კი გალიამ საბჭოთა სპორტსმენებიდან პირველმა მოიგო ფინალური გაცურვა ოლიმპიურ თამაშებში.

როგორ გამოვლენ ჩვენი მოცურავეები მეხიკოს ოლიმპიადაში? გაგრძელებენ თუ არა ისინი პროზუმენშჩიკოვას „თაოსნობას“? ან თვით ოლიმპიური ჩემპიონი შეძლებს თუ არა 19 წლის ასაკში შეინარჩუნოს უძლიერესი ბრასისტის სახელი? შევეცდებით საწყლისნო ბილიკებზე საბჭოთა და უცხოელი ოსტატების შარშანდელი შედეგების ანალიზის საფუძველზე ვუპასუხოთ ამ კითხვებს.

ცურვაში ოლიმპიური პროგრამის გაფართოებამ (მეხიკოს აუზში გათამაშდება ოქროს 29 მედალი, თოთმეტით მეტი, ვიდრე ტოკიოში) მკვეთრად გააძლიერა სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესი მთელს მსოფლიოში. მაღალი კლასის მოცურავეთა მომზადებას დიდი ყურადღება დაუთმეს და შედეგებმაც არ დააყოვნა. ოლიმპიადის დაწყებამდე უკვე ერთი წლით ადრე ცხრილებიდან გაქრა თითქმის ყველა წინანდელი მიღწევა, საცურაო ცათამბჯენზე გაიბრწყინეს ახალმა ვარსკვლავებმა. სეზონის შედეგების მიხედვით მხოლოდ ერთმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა — დონ შოლანდერმა შეძლო შეინარჩუნებინა ლიდერობა მსოფლიოს უძლიერეს მოცურავეთა სიაში. ასეთი შესწორებები, რასაკვირველია, საკმაოდ ზუსტად და ობიექტურად ასახავს ძალთა შეფარდებას, მაგრამ ასახავს მხოლოდ შარშანდელი სეზონის ბოლო დღისთვის და ამის საფუძველზე დასკვნების გამოტანას ძალიან დიდი სიფრთხილე სჭირდება, ვინაიდან წინაა კიდევ ერთი სეზონი. ეს საკმარისია იმისთვის, რომ ფრთები გაიმაგრონ „მარტყუბმა“, რომელთაც ჯერჯერობით მხოლოდ მათი მწვრთნელები იცნობენ.

ასეთი სიფრთხილის მიუხედავად, მაინც გავბედავ და ვილაპარაკებ საბჭოთა მოცურავეების „საორიენტაციო“ შანსებზე, მაგრამ ჯერ კიდევ ერთხელ დავიხევ უკან: ტოკიოს ოლიმპიადიდან 3 წლის შემდეგ ჩვენში გაჩორნდა პირველი კლასის დახურული 50-მეტრიანი აუზები. წინათ ასეთი ბაზები მხოლოდ მოსკოვსა და კიევს ჰქონდათ, ახლა კი 50-მეტრიანი აუზები აშენდა მურმანსკში, ლენინგრადში, მინსკში, ტალინში, ტაშკენტში, გორკში, კუიბიშევში, პერმში, თბილისში, ნოვოსიბირსკში, ჩელიაბინსკში, სარატოვსა და ბევრ სხვა ქალაქში. ეს ნიშნავს, რომ მალე ახალგაზრდა მოცურავეთა რაზმები იერიშს მიიტანენ ქვეყნის ნაკრების წევრებზე. მათი ძალა უკვე იგრძნობა და ეს მხოლოდ დასაწყისია.

ახლა ჩვენს იმედზე ვილაპარაკოთ. მეხიკოში ოქროს მედლის მოხვეჭის ყველაზე კარგი პერსპექტივები აქვს ლენინგრადელ არმიელს ვ. კოსინსკის. მან ბრასის ორივე დისტანცია მოიგო სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში და მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში. ლენინგრადში დაბრუნებისთანავე მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სეზონის დასაწყისში სიტყვაც არ იყო ნათქვამი ნაკრებში კოსინსკის შეყვანაზე. მას მხოლოდ 35-ე შედეგი ჰქონდა ევროპაში. მაგრამ 22 წლის მოცურავემ ყველას გაახსენა თავი და გაახსენა ძალიან დროულად, ვინაიდან მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა გ. პროკოპენკომ ამჯერად 100 მეტრზე ბრასით უძლიერეს მოცურავეთა სიაში მხოლოდ IV ადგილი დაიკავა. ამ ორს გარდა ოლიმპიურ ბილეთზე პრეტენზიას აცხადებს კიდევ რამდენიმე ძლიერი ბრასისტი. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 17 წლის სმოლენსკელი მოსწავლე ი. მარჩუკოვი. მას ჯერ არ მოუხვეჭია დიდი გამარჯვება, მაგრამ აგვისტოში ვარშავას გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა 200 მეტრზე. ვიმედოვნებთ, რომ ოლიმპიადისთვის ჩვენი ბრასისტები საუკეთესო ფორმაში იქნებიან და მაშინაც ისეთივე წარმატებას მიაღწევენ, როგორიც წინაოლიმპიურ კვირეულში მოიპოვეს.

ვინ გააგრძელებს პროზუმენშჩიკოვას „თაოსნობას“?

კრიზი ცურვის ყველაზე სწრაფი სტილია. სულ ცოტა ხნის წინათ ამ სტილით ცურვა საკმაოდ უჭირდათ საბჭოთა სპორტსმენებს, მაგრამ ახლა საიმედო ნიშანი უკვე გამოჩნდა: 100-მეტრიან დისტანციაზე მსოფლიო ათეულში ერთბამად 3 სპრინტერი შევიდა. ქვეყნის ჩემპიონმა, მოსკოველმა სტუდენტმა ლ. ილიჩოვმა შარშან მხოლოდ მსოფლიოს ახალი რეკორდმენი, ამერიკელი კ. უოლში გაუშვა წინ. ილიჩოვს კვალდაკვალ მიჰყვებიან მოსკოველი ს. გუსეევი და ხაბაროვსკელი გ. კულიკოვი.

200-მეტრიან დისტანციაზე ილიჩოვმა ევროპის რეკორდი დაამყარა და მხოლოდ შოლანდერსა და გ. ჩარლტონს (ორივე — აშშ) ჩამორჩა. ილიჩოვის შემდეგ ამ ახალ ოლიმპიურ დისტანციაზე ორწუთიანი „ზღვარი“ გადალახა მოსკოველმა ს. ბელიც-გეიმანმა. იგი ევროპის ჩემპიონი და რეკორდსმენია ცურვის მარათონში — 1.500 მეტრზე. ბელიც-გეიმანმა მსოფლიოში მეოთხე შედეგი აჩვენა. სამაგიეროდ, მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში მან მოუგო ამერიკელ ე. სტრეენკს, რომელიც მეორე ნომრად ითვლება ცურვის ამ სახეობაში.

მარათონში ბელიც-გეიმანის დუბლიორად შეიძლება მივიჩნიოთ ნიჭიერი მოსკოველი ა. დუნაევი. სამწუხაროდ, მას კილომეტრნახევრიან დისტანციაზე გამოსვლა დიდად როდი უყვარს და კომპლექსურ ცურვას ამჯობინებს. ეს გასაგებიცაა: ამ სახეობაში დუნაევს ეკუთვნის ევროპის რეკორდი 400 მეტრზე ცურვაში და მისი შედეგი მეორეა მსოფლიოში. თუ მხოლოდ კომპლექსურ ცურვაში გამოვა, დუნაევს შეუძლია მეხიკოში ოქროსაც შეეცილოს ვინმეს.

ევროპის ექს-რეკორდსმენმა გულალმა ცურვაში ვ. მაზანოვმა (მოსკოვი) დათმო თავისი პოზიციები, ხოლო კონტინენტის ჩემპიონი, ლვოველი ი. ბერმაკი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება ოკეანისაღმელ ოსტატებს. ამ სტილით ცურვაში ჩვენი იმედი უმთავრესად ახალ სახელებთანაა დაკავშირებული. შეიძლება რომელიმე ჩვენმა ჭაბუკმა მოცურავემ შეძლოს ის, რაც მსოფლიოს ახალმა რეკორდსმენმა რ. მატესმა (დგრ) გააკეთა: იგი შარშან ევროპის პირველობაშიც კი არ გამოსულა, ახლა კი ოლიმპიადის ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტია.

10 წლის მანძილზე ბატერფლაის სტილით ცურვაში უცვლელად ლიდერობდა მოსკოველი ვ. კუზმინი. ევროპის ორგზის ჩემპიონი წარმატებით იგერიებდა ახალგაზრდების იერიშს. იგი ყოველწლიურად აუმჯობესებდა შედეგებს, მაგრამ ეს შედეგები ნაკლებად პერსპექტიულია ოლიმპიური თვალსაზრისით. ახლა ვეტერანს უფრო მტკიცედ „შეუტიეს“. 100 მეტრზე ურიგოდ როდი ცურავს ლენინგრადელი ა. გორდეევი, რომელმაც ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა, 200 მეტრზე კი სრულიად მოულოდნელად მოიპოვა სეზონის ლიდერობა ჩვენს ქვეყანაში ტაშკენტელმა ს. კონოვმა. ეს ორი ჯერ კიდევ ვერ მიუახლოვდა უძლიერესი ოსტატების დონეს, მაგრამ, ასეა თუ ისე, მათი იმედი შეიძლება იქონიო, მით უფრო, რომ წინ მთელი სეზონია!

ქალებიდან ოლიმპიადაში გამარჯვების იმედს უმთავრესად ბრასისტები იძლევიან. მართალია, ოლიმპიური ჩემპიონი პროზუმენშჩიკოვა გამოუთხოვა (გვინდა, რომ ეს გამოთხოვება დროებითი იყოს) მსოფლიო რეკორდებს (ამერიკელ კ. ბოლს „დაუთმო“ ისინი), მაგრამ მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში გალინამ ორი პირველი ადგილი დაიკავა და დაამტკიცა, რომ მასთან ხუმრობა არც ისე ადვილია, რომ იგი უბრძოლველად არ დათმობს თავის საპატიო წოდებას. ამას გარდა, მოსკოველების ა. გრებენიოვას და ი. პოზდნიაკოვას სახით პროზუმენშჩიკოვას შესაფერი მოკავშირეები ჰყავს. ისინი მძიმე წუთებში მხარს დაუჭერენ და თუ საჭირო იქნა, შეცვლიან მას უცხოელ მეტოქეებთან ბრძოლაში.

დანარჩენ სახეობებში გამარჯვების იმედი ნაკლებად გვაქვს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ ნომრებში თავი გამოიჩინეს ნორჩმა სპორტსმენებმა, რომლებსაც შეუძლიათ სასიამოვნო სიურპრიზებით გაგვახარონ. მაგალითად, სეზონის მიწურულს 100 მეტრზე კროლით ცურვაში ქვეყნის ახალი რეკორდსმენი გახდა 14 წლის პოლტაველი მოსწავლე ლ. გრებეცი, ხოლო ხარკოველი სტუდენტი ტ. დევიატოვა მსოფლიო ათეულშიც კი „შეიჭრა“!

დაახლოებით ასეთია დღევანდელი სურათი. მაგრამ ჯერ კიდევ წინაა ზამთარი, რომელიც კარგა ხანია მოცურავეებისთვის აღარ ითვლება პასიური დასვენების პერიოდად, როცა მომავალ გამარჯვებებს სპორტულ დარბაზებსა და სათხილამურო ბილიკებზე ეყრება საძირკველი.

ბ. ჩერნიშოვი.

მიიღებენ თუ არა?

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში კვლავ და კვლავ შემოდის წინადადებები თამაშის წესებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე. სულ ახლახან ასეთი წინადადებით შემოვიდა ორი ერთობ ავტორიტეტული პიროვნება — მსაჯთა საერთაშორისო კომიტეტის წევრები — ინგლისელი კ. ასტონი და ფრანგი რ. მასონი. მათი სიახლის არსი ასეთია: არ იქნას ფიქსირებული თამაშგარე მდგომარეობა საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისას, ხოლო იდეა მდგომარეობის იმაში, რომ სანახაობრივად გაუმჯობესდეს თამაში, აღიკვეთოს უხეშობა და შემტევი მხარისთვის მრავალფეროვანი გახდეს საიერიშო საშუალებანი.

როგორც უცხოური პრესა წერს, ასტონისა და მასონის წინადადებას ოფიციალური საფეხბურთო წრეები დიდი ყურადღებით შეხვდნენ. ლაპარაკია იმაზე, რომ გუნდები საჯარიმო და თავისუფალი დარტყმების საწინააღმდეგოდ „კედლის“ აღმართვისას, როგორც წესი, არ იცავენ [illegible] ძილს და მსაჯებს დიდი დროის დაკარგვა უხდებათ წესის შენარჩუნებით თამაშის გასაგრძელებლად. თუ ახალი წესი ძალაში შევა, მცველთა მიერ აღმართულ „კედლებს“ საერთოდ აღარ ექნება აზრი, ვინაიდან თავდასხმელ გუნდს შეეძლება მეკარეს გვერდით ამოუყენოს თავისი ფორვარდები. ამას გარდა, უხეში მცველები, რომლებიც აკრძალულ ილეთებს არ ერიდებიან საჯარიმო მოედნის სიახლოეს, იძულებული იქნებიან გადახედონ თავიანთ სამოქმედო „არსენალს“.

პრესაში ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ასტონიცა და მასონიც მსაჯთა საერთაშორისო კომიტეტის წევრები არიან და, ეჭვს გარეშეა, თავიანთი წინადადება მხოლოდ მას შემდეგ გამოიტანეს საჯარო განსახილველად, როცა საფუძვლიანად ესაუბრნენ თავიანთ კოლეგებს და, ალბათ, შესაბამისი მხარდაჭერაც ჰპოვეს.



„9 მეტრის“ პრობლემა გადაჭრილია!

ნახ. კ. პატიაშვილისა.

ფეხბურთი მოკლედ

● **დალასი.** აშშ-ს ლიგის გუნდმა „ფკ დალასმა“ წაგოიწყო დღემდე უნახავი ტურნე ევროპაში, რომლის დროსაც იგი 17 (!) ქვეყანას ეწვევა და 45 (!) შეხვედრას გამართავს.

● **გლაზგო.** შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ მოთამაშეებს ნება დართო პროფესიული ხელშეკრულება დადონ 15 წლის ასაკიდან. დღემდე საამისოდ საჭიროდ მიაჩნიათ 17 წლის შესრულება.

სიკვდილის რკალი

ჟურნალ „ბუნტე ილიუსტრირტენში“ (გფრ) გამოქვეყნებული ეს სურათები ნიურბურგრინგის ავტოდრომზე ეიფელის თასზე გამართული შეჯიბრების დროს მომხდარ დრამატულ ამბავზე მოგვითხრობს. წელიწადი არ გავა ისე, რომ ამ ავტოდრომზე სპორტსმენები არ დაიღუპონ. სწორედ ამიტომ საზოგადოებრიობამ ბევრჯერ მოითხოვა ამ უაღრესად სახიფათო ტრასებისა და ვირაჟების მქონე ავტოდრომის დახურვა, მაგრამ შეჯიბრებები აქ კვლავინდებურად გრძელდება. მიუხედავად თავიანთი ამხანაგების დაღუპვისა, მრბოლელები ისევ და ისევ მიდიან რისკზე — დიდ ფულად პრიზებს მისდევენ.

მაინც რა მოხდა ამჯერად?

მრბოლელები ფრანც-დიტერ ლინარცი და ჰანს-რიჰარდ ჰოპოფი ეტლიანი მოტოციკლით საათში დაახლოებით 200 კილომეტრის სიხშირეთი მიჰქროდნენ. ისინი რბოლის ფავორიტებად ითვლებოდნენ და დიდძალი ფულადი ჯილდოს მოხვეჭას ვარაუდობდნენ.

ვირაჟზე ლინარცის მეწყვილე ჰოპოფი თითქმის ხულ გადაეწია მანქანიდან (იხ. მარცხენა სურათი) — მოტოციკლისთვის წონასწორობის შენარჩუნებას ლამობდა. მესაზე ლინარცმა იგრძნო, რომ მანქანა აღარ ემორჩილებოდა და კატასტროფა გარდუვალი ხდებოდა... იგი ხისწრაფის დაკლებას შეეცადა, მაგრამ გვიანი იყო: მანქანა კედელს შეასკდა. მაუურებლებმა მოტოციკლის ნამსხვრევებიღა დაინახეს და... ჰაერში მრბოლელთა გაფრენილი სხეულები (იხ. მარჯვენა სურათი).

ლინარცს ძალიან სერიოზულად დაუშავდა ხერხემალი და ალბათ ვეღარასოდეს მიუჯდება მოტოციკლის საჭეს. მისი მეწყვილე შედარებით იოლად გადარჩა: მსუბუქად დაშავდა და ალაგ-ალაგ დაიწვა. ნიურბურგრინგმა თავის უთვალავ მსხვერპლს ახალი დაუმატა, ხოლო რბოლის მოშწუობებმა დიდი ფულადი მოგება ჩაიჯიბეს.



„სიცილის სააგენტოს“ ბიულეტენი № 3

ახალგაზრდობა იმარჯვებს

გუნდმა „ჰანოვერ-1896“-მა დაამარცხა „მიუნჰენ-1860“ ანგარიშით 3:1.

მიმომხილველთა აზრით, გუნდების თამაშზე წელთა შორის სხვაობამ იქონია გავლენა.

გაიმარჯვეს ახალგაზრდებმა.

აი, ნახტომი!

თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა სიცილიელმა ჯუზეპე ფრენიმ, რომელიც პარაშუტის გაუხსნელად 3.500 მეტრ სიმაღლიდან მშვიდობიანად ჩაეკიდა ჭაში.

წაგების მიზეზი

ეკვადორელმა კალათბურთელმა ალინ ახმახომ „ალიანცასთან“ მატჩის დროს თავის გუნდს ვერც ერთი ქულა ვერ მოუტანა. საქმე ის არის, რომ ახმახო 403 სმ სიმაღლისაა და უპირს 305 სმ სიმაღლეზე მდებარე კალათში ბურთის მოთავსება.

კიდევ 100 კილომეტრი

მარათონიკმა ... ცილვიჩ სტაიერმა ოლიმპიადა თავვერ შეიპარა და დამატებით 100 კმ ირბინა.

გამოუვალი მდგომარეობა

ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს ახალი თავსატეხი გაუჩდათ: როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, ოლიმპიური ცეცხლი გრენობლის ნაცვლად გრენობში ჩაუტანიათ.

ერთი ოქმის ათი სიბრძნე

„სკოლა ინტერნატში 4 ფიზკულტურის მასწავლებელი ითვლება, რაც ერთგვარად აძნელებს მუშაობას, სახელდობრ ხელძღვანელობას“.

* * *

„თამაშის მსვლელობაში მასწავლებელი არ აძლევდა მეთოდურ მითითებებს. ეს მდგომარეობა აღნიშნულ იქნა ღია პარტიულ კრებაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა აღნიშნული გუნდის წინსვლის ფაქტები არა სჩანს“.

* * *

„სკოლა ინტერნატში მოეწყო სპორტული ფოტოსტენდი, სადაც გამოკრულია მოწინავე სპორტსმენები. არ არის ისეთი სპორტსმენების სურათი, რომლებიც ვერ ასწრებს აკადემიურად“.

„ამხ. იგითხანიშვილი აღნიშნავს, რომ მის მუშაობაში ბევრი აქვს ნაკლოვანება. მიზეზი ძირითადად ის არის, რომ მოსწავლეთა აგებულება . ტანვარჯიშისთვის არ არის მიზანშეწონილი“.

* * *

„შეჯიბრების მსვლელობის დროს, მასწავლებელი ჭადრაკის თამაშით იყო გართული მეორე ოთახში“.

* * *

„ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისას დავიკავეთ III თანრიგი. კარგი იქნებოდა უფრო მასიური ყოფილიყო შეჯიბრებაში მონაწილეების გამოსვლა“.

* * *

„I-IV კლასების ჩათვლით ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება მხოლოდ მაშინ, როცა კარგი ამინდებია...“

„საჭიროა ვუსაყვედუროთ აღმზრდელებს ფიზკულტურის მასწავლებლებს, რომ ისინი სრულიად არ ეხმარებიან აღმზრდელებს მოსწავლეთა ფიზკულტურულ ვარჯიშში“.

* * *

„მეცადინეობა არ გამიცდენია, მაგრამ კონტიგენტი სუსტია. მოსწავლეებს ეზარებათ სექციებზე მუშაობა“.

* * *

„...ჩვენი მოსწავლეები სექციური მუშაობის გარდა არ ვარჯიშობენ, რის გამო ისინი წონაში იმატებენ და ეზარებათ ვარჯიში“.

ახალციხის სკოლა-ინტერნატის პედსაბჭოს 1967 წლის 8 მარტის სხდომის ოქმიდან (№ 6) ამოწერა

თ. ბაჩეჩილაძემ.





„ფოტოკლუბში“ გამოქვეყნებულმა (იხ. „ლელო“ № 244, 1967 წ.) ქვედა სურათმა (ავტორი — ბ. ქვათაძე) მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია და ბევრი გამოეხმაურა კიდეც მას. მაგრამ დიდი ნაწილი ამაოდ დაშვრა — ვერ გამოუნახა შესაფერისი წარწერა ამ მართლაც უცნაურ ფოტოსურათს. შემოსული პასუხებიდან ჩვენ ორ წარწერას მივანიჭეთ უპირატესობა. აი, ისინი: „გამიშვი ობლად ვიარო...“ (მ. ბერელაშვილი, თბილისი) და „კარგად იყავით...“ (ი. ახალაძე, ჭუთაისი).

გთავაზობთ „ფოტოკლუბის“ ოსტატთა ახალ ნამუშევარს (იხ. ზედა ფოტო). **რა წარწერას გაუკეთებდით მას?**

„ჟაბოტინსკი „შვიდასის“ ზღურბლთან!“



— როდის გაიხსნება „კლუბი-600“?

— ვფიქრობ წლევანდელ, ოლიმპიურ წელიწადს.

— მზად ხართ გახდეთ მისი დამაარსებელი და პრეზიდენტი?

— გაძლიერებით ვემზადები...

ეს დიალოგი გაიმართა „კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტსა და ლეონიდ ჟაბოტინსკის შორის (იხ. „კომსომოლსკაია პრავდა“, 4 იანვარი, № 3).

— კი მაგრამ, — იკითხავს გაოცებული მკითხველი, — „ლელომ“ თავის 4 იანვრის ნომერში ხომ უკვე გვამცნო, რომ „კლუბი-600“ გაიხსნა და იგი სწორედ ჟაბოტინსკიმ დააარსა...

მართლაც, „ლელომ“ დაბეჭდა ცნობა — „ჟაბოტინსკი „შვიდასის“ ზღურბლთან!“, მაგრამ ეს იყო... საახალწლო ხუმრობა. დაკვირვებული მკითხველი უმალ მიხვდებოდა, რომ პოდოლსკში იმ დღეებში ძალოსანთა არავითარი ტურნირი არ იყო დაგეგმილი, თანაც, სტრიქონები „...აკვრაში მეოთხე დამატებით ცდაზე მან 218,5-კილოგრამიანი შტანგა დასძლია“ ხომ მტკნარი სიცრუეა: დამატებითი ცდა ხომ სარეკორდოა, ჟაბოტინსკის ფენომენალური მსოფლიო რეკორდი კი ამ მოძრაობაში 219 კილოგრამია.

თანაც, ჟაბოტინსკი წლეულს რომ 600 კილოგრამს დაძლევს, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება და მაშინ აკი მკითხველიც იტყვის: „ლელოს“ ენამ უყივლაო!

ასეა თუ ისე, იმ მკითხველებს, ვინც ვერ მიხვდა ჩვენს ხუმრობას, ბოდიშს ვუხდით და იმედს ვაძლევთ, რომ შემდგომშიც შიგადაშიგ „გავაოცებთ“ ამგვარი მასალებით.



ასეც ხდება...
ფოტოხუმრობა მ. ზარგარიანისა.

რატომაა პატარა ნეკროლოგი!

72 წლის გერმანელი დიდოსტატი ე. მიზესი ავად გახდა. საშიში არაფერი იყო. ერთ დილით, გაზეთებს რომ ათვალიერებდა, დიდოსტატის ყურადღება მიიპყრო... ნეკროლოგმა: „გარდაიცვალა ცნობილი დიდოსტატი მიზესი, რომელიც საავტომობილო კატასტროფაში მოყვა. ბრწყინვალე პრაქტიკოსი, მრავალი სპეციალური პრიზის მფლობელი დღეს ჩვენთან აღარ არის. გამბიტების ვირტუოზი, შესანიშნავი საჭადრაკო ჟურნალისტი, საჭადრაკო ტურნირების ორგანიზატორი მარად იცოცხლებს ჩვენს მეხსიერებაში!“

თუ საიდან გაჩნდა ყალბი ცნობა გაზეთში, ვერავინ გაიგო. მიზესს სხვა რამ მოხვდა გულში: ნუთუ ასეთი პატარა ნეკროლოგის ღირსი ვიყავიო და გადაწყვიტა უფრო ვრცელი ნეკროლოგი „დაიმსახურებინა“: იგი უფრო აქტიურად ჩაება საჭადრაკო ცხოვრებაში, შეჯიბრებებში 89 წლის ასაკამდე მონაწილეობდა.

1954 წელს იგი მართლა გარდაიცვალა და ვრცელი ნეკროლოგი დაიმსახურა.

ბ. ბამრეკელი.

იან ოსტროვსკი

კატეგორიული პასუხი

აი, რა საინტერესო ამბავი მიამბო ამას წინათ ერთმა ნაცნობმა:

ერთ-ერთი ცირკის დირექტორთან სპორტული აღნაგობის ჭაბუკი მივიდა და ახალი ატრაქციონი შესთავაზა.

— რა ატრაქციონია? — ჰკითხა დირექტორმა.

— დადგით შუა არენაზე ნახერხით სავსე კასრი. მე თაღიდან დავეშვები და პირდაპირ კასრში ჩავხტები თავით.

დირექტორმა სკეპტიკურად შენიშნა:

— ოცდათხუთმეტი წელია ცირკში ვმუშაობ და ასეთი სახიფათო ტრიუკი არასოდეს მინახავს...

— ახლავე გიჩვენებთ, ოღონდ ნახერხით სავსე კასრი დადგან.

არენაზე კასრი გამოაგორეს და თითქმის პირთამდე აავსეს ნახერხით. საკვირველი ნომრის საყურებლად მარტო ცირკის მსახიობებმა კი არა, ყველა მოსამსახურემ მოიყარა თავი. ასეთი ატრაქციონი ხუმრობა როდია!

ჭაბუკი გულმშვიდად აძვრა ტრაპეციაზე, რომელიც ზედ თაღთან ეკიდა და გაქან-გამოქანდა. „ჰოპ!“ — დაიძახა შემდეგ და გადმოხტა. წამიც და იგი მართლაც თავით ჩაეშვა ნახერხიან კასრში, საიდანაც მაშინვე დიმილით ისკუპა არენაზე.

ამ ამბის ყველა მოწმემ მქუხარე ტაშით დააჯილდოვა გულადი ჭაბუკი. ყველაზე მეტად და მხურვალედ დირექტორი უკრავდა ტაშს.

— ჩემო ძვირფასო! ეს ხომ გაუგონარი ნომერია, გასაოცარი! ყოველ გამოსვლაში ოც მანეთს გადაგიხდით, — შესძახა მან.

— არა, — გაისმა პასუხი. — არა ვარ თანახმა!

— მაშ კარგი, რაც იყოს, იყოს, ოცდაათი მანეთი! — თქვა დირექტორმა.

— მაინც არა ვარ თანახმა. უარს ვამბობ, — კატეგორიულად განაცხადა ჭაბუკმა. — ასე გადმოხტომა ცხოვრებაში პირველად ვცადე და, უბრალოდ, არ მომეწონა...

თარგმნა ბ. კაკაბაძემ.



ჟურნალი „ტიპი“ (ბაზელი).

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 8 უე 07306

რედაქტორი მ. კაკაბაძე.